№ 224 24 ქრისტეშობისთვე, შაბათი 1866—1877 24 ქრისტეშობისთვე, შაბათი № 224

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლში, № 8.

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლებში, № 8.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲣᲚᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდ-ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით ტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის სიცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდ-ად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲒᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲨᲔᲛᲓᲔᲑᲘ 225 ᲜᲝᲛᲔᲠᲘ „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐ“ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ, ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ 30-Ს.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲗᲣᲛᲪᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲕᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ �გᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ 4 ᲛᲐᲜ. ᲓᲐ 50 ᲙᲐ�პ., ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲛᲐᲠᲗᲝ 4 ᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲐᲜ.

ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲣᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲡᲐᲓ ᲕᲗᲮᲝᲗ ᲘᲛ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ 4 ᲛᲐᲜ. ᲒᲐᲛᲝᲣᲒᲖᲐᲕᲜᲘᲐᲗ, ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲐᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲔᲗ (ᲤᲝᲩᲩᲘᲡ ᲛᲐᲠᲙᲔᲑᲘᲗ ᲐᲜ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲗ); ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲘᲛᲐᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲛᲝᲔᲡᲞᲝᲑᲐᲗ �გᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲖᲐᲕᲜᲐ.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ 1878 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“

ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲛᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲦᲔᲛᲓᲘᲜ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ ᲮᲝᲚᲚᲛᲔ.

ᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐᲛ ᲓᲐᲒᲒᲐᲠᲬᲛᲣᲜᲐ ᲩᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲬᲔᲚᲡᲐᲪ „ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲓᲦᲔ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲐ,

გარდა ორშაბათისა და უქმეების შემდედ დღეებისა.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ—„მიიღება დროების“ რედაქციაში (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლებში).

ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐ ᲐᲛ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲝᲜ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію „Дроэба“.*

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ

მთელის წლისა	8 მან.	„ კაპ.
ექვსის თვისა	4 „	50 „
ოთხის თვისა	3 „	„ „

მხოლოთ ამ ვადებით შეიძლება მომავალის წლიდამ გაზეთის დაბარება.

უმორჩილესი თხოვნა ხელის-მომწერლებსა და აგენტებს: ᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ-ᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲛᲜᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ; თუ არ თავის აგენტების საშუალებით, ისე რედაქცია უფულოთ გაზეთს არავის არ გაუგზავნის.

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲖᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲜᲔᲛᲔᲜᲪᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „Presse“-ᲘᲡᲐ ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ, ᲕᲘᲗᲝᲛᲪ ᲠᲣᲡᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲐᲢᲝᲕᲔᲡ ᲓᲔᲕᲔ-ᲑᲝᲠᲜᲘ, ᲣᲡᲐᲤᲣᲫᲚᲝ ᲓᲐ ᲢᲧᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲐᲠᲘᲡᲝ.

—

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲓᲐᲛ ᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲓᲔᲞᲔᲨᲐ ᲒᲕᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲠᲣᲡᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲡ ᲘᲡᲔᲕ ᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘ ᲣᲭᲘᲠᲐᲕᲗ, ᲠᲐᲪ ᲐᲓᲠᲔ ᲔᲭᲘᲠᲐᲗᲝ.

—

ᲛᲣᲮᲗᲐᲠ-ᲤᲐᲨᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲓᲔᲞᲔᲨᲐ ᲒᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲘᲐ 13 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲨᲘ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲐᲖᲔ:

„ᲘᲛ ᲠᲣᲡᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲗᲐᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲒᲖᲘᲐᲮᲚᲝᲔᲓᲐ, ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲯᲐᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲤᲘᲪᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲣᲙᲐᲜᲔᲒ.

„ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲓᲐᲛ ᲢᲠᲐᲞᲘᲖᲝᲜᲓᲐᲛᲓᲔᲜ ᲞᲘᲠᲓᲐ-ᲞᲘᲠᲘ ᲒᲖᲐ ᲛᲢᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲔᲙᲠᲣᲚᲘᲐ; ᲐᲛ ᲝᲠ ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲨᲣᲐ ᲛᲘᲛᲡᲕᲚᲔᲚᲔᲑᲘ-ᲛᲝᲛᲡᲕᲚᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲔᲕᲔ ᲯᲐᲠᲘ ᲢᲠᲐᲞᲘᲖᲝᲜᲘᲓᲐᲛ ᲐᲛ ᲥᲐᲛᲐᲓ ᲑᲣᲛᲣᲪᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲡ.“

—

Т. ᲛᲔᲡᲩᲔᲠᲡᲙᲘ ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲐ „ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲨᲘ“ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐᲞᲝᲚᲘᲓᲐᲛ:

„ᲛᲔ ᲛᲔᲒᲝᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲗ ᲡᲬᲘᲠᲐᲕᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲝᲪᲐ ᲐᲥ ᲛᲝᲕᲔᲓᲘ ᲓᲐ ᲕᲔᲜᲐᲮᲔ, ᲓᲐᲕᲠᲬᲛᲣᲜᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲬᲘᲠᲐᲕᲘ ᲔᲠᲗ ᲛᲔᲐᲗᲔᲓᲡ ᲐᲛᲐᲗᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲙᲛᲐᲕᲝᲤᲘᲚᲔᲑᲡ. ᲐᲛᲐᲗ ᲐᲙᲚᲘᲐᲗ ᲬᲐᲛᲐᲚᲘ, ᲐᲙᲚᲘᲐᲗ ᲗᲑᲘᲚᲘ ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘ, ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲮᲔᲘᲠᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲔᲑᲘ, ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ, ᲠᲐᲪ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ, ᲮᲘᲡ ᲤᲔᲮᲘ (ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, ᲤᲔᲮᲨᲘᲐ ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲘ) ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

„ᲗᲣ ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲥ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐᲞᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲗᲚᲔᲑᲨᲘ, ᲠᲐᲚᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲢᲠᲘᲐᲓᲨᲘ, ᲣᲐᲠᲡᲨᲘ, ᲔᲠᲘᲕᲐᲜᲨᲘ, ᲐᲠᲢᲐᲐᲜᲨᲘ, ᲓᲔᲕᲔ-ᲑᲝᲠᲘᲜᲖᲔ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ!

—

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „Голосъ“-ᲘᲡ 306 ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ:

„ᲛᲪᲘᲠᲔ ᲐᲖᲘᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚ ᲧᲘᲜᲕᲔᲑᲡ ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲘᲐᲜ. ᲣᲔᲭᲕᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲦᲘᲜᲔᲠᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲚᲝᲠᲘᲡ-ᲛᲔᲚᲘᲥᲝᲕᲘ ᲓᲐ ᲖᲔᲘᲛᲐᲜᲘ, ᲧᲝᲕᲔᲚ ᲦᲝᲜᲘᲡ-ᲫᲘᲔᲑᲐᲡ ᲘᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲗᲐᲜ ᲒᲐᲩᲔᲠᲘᲒᲔᲑᲣᲚ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲙᲐᲪᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲛᲮᲜᲔ ᲯᲐᲠᲔᲑᲡ ᲗᲑᲘᲚᲘ ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲔᲑᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲗ; ᲣᲐᲛᲘᲡᲝᲗ ᲫᲜᲔᲚᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲡᲐᲓᲒᲔᲜᲘᲐ ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲦᲔᲜᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲐᲛᲓᲝᲜᲘ ᲮᲐᲜᲘ ᲐᲡᲔ ᲒᲐᲐᲩᲔᲠᲘᲒᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲐᲛ ᲯᲐᲠᲡ ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲗᲐᲜ.

„ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲐᲠᲔᲡ ᲐᲛ ᲝᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲬᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲛᲐᲗ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲔᲥᲜᲔᲑᲐᲗ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲒᲝᲜᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ ᲐᲮᲚᲐ ᲪᲝᲢᲐ ᲨᲔᲔᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲜᲐᲗ...“

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲬᲐᲡᲣᲚᲘ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘᲓᲐᲛ ᲨᲔᲘᲢᲧᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲛᲐ, ᲠᲝᲛ ᲦᲔᲜ. ᲑᲣᲠᲙᲝ ᲐᲮᲚᲐ ᲮᲔᲚ-ᲛᲔᲝᲠᲔᲓ ᲒᲐᲓᲐᲡᲣᲚᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘᲗ ᲑᲐᲚᲙᲐᲜᲘᲡ ᲛᲗᲔᲑᲡ ᲒᲐᲓᲐᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲘᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲝᲓᲘᲡᲐ.

ᲐᲛ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐᲡ, ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲓᲘᲓᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ; ᲐᲓᲠᲘᲐᲜᲝᲞᲝᲚᲐᲛᲓᲔᲜ ᲐᲮᲚᲐ ᲠᲣᲡᲘᲡ ᲯᲐᲠᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲐᲑᲠᲙᲚᲔᲑᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲨᲘ ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ, ᲡᲝᲤᲘᲐ ᲓᲐᲡᲬᲕᲔᲡ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲛᲐ, ᲠᲐᲪ ᲐᲥ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ ᲰᲧᲕᲐᲜᲓᲐᲗ

ადრიანოპოლში დასწიესო და ამ ქალაქთან აპირებენ რუსების შეჩერებასაო.

—

ზემოხსენებულისავე გაზეთის სიტყვით, ოსმალოებს იმედი აქვთ, რომ ადრიანოპოლზე რუსების მიდგომამდინ, ამ ქალაქში 100—120,000 კაცს მოაგროვებენ 400-ზე მეტის ზარბაზნით და ამ ძალით დაუხვდებიან მტერს.

მაშა სადამე ამ ომიანობის ბედის გადაწყვეტას ამ ქალაქთან უნდა მოველოდეთ: თუ აქ დამარცხებული იქნენ ოსმალოები, მაშინ რუსებს სტამბოლის გზა გახსნილი ექნებათ და, უეჭველია, იძულებული შეიქნებიან, რომ როგორც იქნება შეურიგდნენ თავის მოპირდაპირეს.

—

ლონდონის გაზეთს „Daily Telegraph“-ში მოყვანილია შემდეგი დეპეშა 11 დეკემბერს ბუხარესტიდამ მიღებული:

„აქ მოიყვანეს ორი ათასამდინ ოსმალოს სალდათი, რომელნიც პლევნოსთან იყვნენ დატყვევებულნი; მომეტებული ნაწილი ამათგანი ძალიან ავათ არიან, რადგან სიცივეს შეუწუხებია გზაში.“

—

ამავე გაზეთში სისტოვოდამ იწერებიან:

„ორი დივიზია რუმინიის ჯარისა მიდინისაკენ უნდა გაელაშქროს; ერთი პლევნოში აყვანილ ტყვეებს გაჰყვება და დანარჩენი ჯარები რუმინიისა დანიშნულია მდ. დუნაის მარჯვენა ნაპირების დასაცველად და აგრეთვე პლევნოში ვასაჩერებლად.“

საქართველო

დღიური

*** ამ სიცივესა და სიძვირესთან ქურდებიც მეფობენ ჩვენს ქალაქში; თითქმია ისე დღე არ გაიელის, რომ ქალაქის რომელსამე უბანში ან კაცი არ მოჰკლან, ან არ გასცარცვონ ვინმე და ან რამე არ მოიპარონ.

როგორც ეტყობათ, ეს ჩვენი ქალაქის ავაზაკები უჭკუო კაცები არ არიან: იმათ კარგათ გამოუანგარიშებიათ, რომ იმათთვის სახეირო, ე. ი. ფულიანი, ხალხი ღამ-ღამობით იშვიათათ დაიარებიან ქუჩებშიო; ამას გარდა ამ დროს აბზოდიც გამოდისო, და ამის გამო ღამე თითქმის არავითარი ცუდ-კაცობა და ავაზაკობა არა ხდება ხოლმე ქალაქში: საღამობით 6—7-ს საათზე გამოდიან სანადროთ; ყველა ავაზაკობა, კაცის-კვლა და ქურდობა, რაც ამ უკანასკნელ ხანებში მოხდა ჩვენს ქალაქში, მოხდა სწორეთ ამ დროს, ე. ი. საღამოს 6 საათიდამ 8 საათამდინ.

ბამვლელ-გამომვლელის ხალხის იმათ არ ეშინიანთ; კარგათ იციან, რომ მეცხრამეტე საუკუნეში არავინ გამოჩნდება ისეთი გულ-შემატკივარი რაინდი, რომ თავის მოყვასისათვის ხანჯალ ან რევოლვერ ამოღებულს კაცს წინ დაუხვდეს...

*** თუ სადამდინ მიაღწევს ამ ჩვენი ავაზაკების მხნეობა და არხეინობა, შემდეგი წიგნი გვიმტკიცებს, რომელიც იმათ „თფილისის მოამბის“ რედაქტორისათვის მიუწერიათ:

„თ. ბებუთოვ, „ვესტნიკის“ რედაქტორო!

„ერთი შეცდომა მოგვივიდა ჩვენ; ის რომ საწყალი ბაგინოვის ქალის სახლს ძუკიაში წაუკიდეთ ცეცხლი. ჩვენ გვგონა, რომ ეს სახლი ბადალ უ—ვის სახლი იყო, ჩვენის ამხანაგის, რომელსაც 15,000 მანეთი ჩავაბარეთ და ბოლოს კაპეიკსაც კი აღარ გვაძლევს. უეჭველად მოვკლავთ იმას, თუ ჩვენი ფული არ დაგვიბრუნა.

„თუ ეს წიგნი არ დაგვიბეჭდეთ, თქვენც ასე გაგისწორდებით.

„უნდა გრცხვენოდეთ, რომ ტყვილი დაბეჭდეთ, ვითომ ჩვენ ჩინოვნიკის ბასილოვის მოკვლა გვინდოდა. ჰაზრშიაც არ მოგვსვლია არც მოკვლა და არც გაცარცვა ამ კაცის.

„ტატო, ბიორგი და ივანე. ჩვენი გვარები ბადალ უ—ვმა იცის.“

*** რუსული გაზეთი „ახალი დროება“ გვაცნობებს, რომ უმაღლესის მთავრობის გადაწყვეტილებით კავკასიის (ვლადიკავკასის) მთის გზის გასაკეთებელად დანიშნა ნახევარი მილიონი მანეთიო. იმ პირობით, რომ ეს ფული ათი წლის განმავალობაში უნდა დაიხარჯოს ამ საგანზედო.

იქნება მაშინ მაინც ვეღირსოთ უცხო ქვეყნისა და რუსეთის ფოჩითის თავისდროზე მოსვლას...

*** სოფ. ხაშმიდამ გვწერენ, რომ ორ იქაურ გლეხს სადავო მამულის თაობაზე საჩივარი ჰქონიათ; ადგილობრივ პრისტავს, ერთის მომჩივრისაგან განზრახულს, მეორე მამჩივანისათვის ჯოხით უცემია. ბალახულს ეურ მოუთმენია ეს და ის განმზრახველი კაცი მოუკლავს. ჩვენი კორრესპონდენტი ამბობს, რომ ის მოკლული გლეხი მდიდარი კაცი იყოთ და მთელს სოფელს აწუხებდაო.

*** ძალიან დიდი ნაკლულევანებაა ჩვენში, რომ ერთი ხეირიანი ქართული კალენდარი არ გამოდის. მართალია, ეს მეთუთხმეტე წელიწადია მგონია, რომ მუდამ წელს იბეჭდება უფ. ს. მდივანოვის „ქართველთა და სომეხთა კალენდარი“, მაგრამ ეს ისეთი უშნო, საძაგელი რამ არის და რაც იქ თითო-ორ-ოლა ცნობებია, ისეთი ტყუილი ცნობებია, რომ ეს, რასაკვირველია, კალენდრად არ ჩაითვლება.

*** ჩვენ მოგვივიდა თელავიდამ შემდეგი შენიშვნა:

„ამ ათ-თორმეტ წელიწადში არ შესწრებია კაცი თელავში ამისთანა სიძვირეს. შეიძლება არა ვსთქვათ რა იმისთანა საქონელზედ, რომელიც გამოდის სამზღვარს გარეთიდგან, ანუ რუსეთიდგან, ამისათვის რომ ბიზნესი ყველასთვის ცხადია; მაგრამ რას ბიკაწერობთ საძვირე სხვა-და-სხვა ხორაგისა და მეტადრე შეშა-ფიჩხისა? როგორც წინა წლებში და შარშანაც ურემი შეშა ღირდა ეძვსი აბაზიდგან შვიდ აბაზამდის; ეხლა იყიდება ოთხიდგან ხუთს მანეთამდის. ძროხის ხორცს, არ მოსწრებია კაცი, რომ გირვანქა შაურზედ მეტად გაყიდულიყოს, ახლა იყიდება შვიდ და რვა კაპეიკათ; თუმცა ფორმისთვის გამოცემულის ტაკციით უნდა იყიდებოდეს ექვს კაპეიკათ, მაგრამ რადგანაც ყურის მგდებელი არავინ არის, ხშირათ ყასაბები ცხრა კაპეიკათაც ჰყიდიან.

„სოფლის ხალხს სიცივეების და ყინულების გამო ათასში ერთხელ-ღა შემოაქვთ თელავში გასასყიდავად შეშა; ეს გარემოება ახარებს აქაურ სომეხ-ვაჭრებს: სეკტემბერში და ოკტომბერში საქონი შეშა ფასობდა იმათში ცამეტიდგან თოთხმეტს მანეთად; დღეს კი ოცდა-ერთ მანეთად გაყიდეს, ისიც დიდის მუნათითა; თან უარსაც ამბობდნენ თავიანთი ურმით შეშის ჩამოტანაზედ. სახედრის საპალნე შეშისა აქამდის ღირდა ექვსი შაური, ეხლა კი ჰყიდიან სამ აბაზათ; ნეტავი სინიდისიანი საპალნე მაინც გაუგზავნონ მყიდველს. ბუშინ ერთი საპალნე შეშა თელითა გამოვიდა თექვსმეტი ნაჭერი, ესე იგი ორჯელ ბუხრის გახურება ანუ ორი საათის საგძალი.

„ვისაც ტოტაოდენი შეძლება აქვს, ის კიდევ არ მებრალება ამ სიძვირეში, მაგრამ რა ქნან ღარიბებმა და ქვრივ-ობლებმა, რომელთაც ვაი-ვაგლახობით ლუკმა-პურის სასყიდლად მოგროვილი რამდენიმე აბაზი უნდა აძლიონ ერთს საპალნე შეშაში.“

„დროების“ კორრესპონდენცია

კახეთიდამ, 21 დეკემბერს. მგონია არ იქნება იმისთანა ივერიის შვილი, რომ საქართველოს ეს პატარა კუთხე კახეთი არ ენახოს, და თუ უნახავს, არ წასულიყოს ოცნებაში მისი მთა და ბარის ცქერაში და უნებურათ არ დაეძახოს: „ჰო, რა მშვენიერებაა!“

ვისაც კი არ უნახამს ეს ჩინებული კუნჭული, გაგონილი მაინც ექნება, რომ კახეთი არის მდიდრად შემკობილი მხარე, რომ მისი მნახავი აღტაცებაში მოვა: პოეტი—ბუნებით, მატერიალისტი—ამ ბუნებაში დამალული უთვალავი ნივთით.

მაგრამ „რა ხელსა ჰყრი საუნჯესა დამალულსა!“

ეს რამთვენიმე წელიწადია, ჩვენი მხრის დამალული სიმდიდრე მხედველობაში მიიღეს სხვა-და-სხვა საზოგადოებამ და რამდენიმე გაშინჯვის შემდეგ დარწმუნდნენ მისს სიმდიდრეზე.

მაგალითად: ამ ჟამად გაშინჯულია

თავადთ �ალაანთ მთა, რომელშიაც არა ცოტა რკინა იმყოფება, შეუდგენ თითქმის ძებნასაც; მაგრამ არ ვიცი—რა მიზეზით დაანება თავი საზოგადოებამ ამ ამ საგნისთვის დანიშნულმა. Ара ნაკლებ სარგებლობას მოუტანდა თ. Мауаевთ Бакро-Тфილისის რკინის გზის პროექტის აღსრულებაში მოყვანა მით, რომ ამათ შეეძლოთ გაესაღათ ხე-ტყე თავიანთი მამულისა, სახელდობრივ „Ботокоსი“; მაგრამ სუფველა ეს იმედები დროებით ჩაშლილია...

მოგხვედა ღმერთმა! შედგა კიდე ერთი საზოგადოება, რომელსაც ერთი მწევრი ამავე საზოგადოებისას ეძახის „მზრუნველისას.“ როგორც სერვანტესის გმირი შემცდარი იყო რაინდობის აზრებზე, როგორც ის წავიდა თავის Дულცინეის საძებნელათ, რომლის მაგიერათ ერთი მეწყალე დედაკაცი სცნა თავის საყვარლათ, ისე ეს მწევრი შემცდარია მასზე—თუ რა საშუალება იხმაროს ხალხის გასამდიდრებლად! Эხლა, რაკი შეიქნა მწევრი ამ საზოგადოებისა, სჯერა, რომ მიახწია იმ საშუალებას, რომელსაც სძებნიდა და ისე ფანატიკურათ არის დარწმუნებული ამაზე, რომ ყველას, ვინც კი ეტყვის მას: Уფალო მწევრო მზრუნველ საზოგადოებისავ, თქვენი წრე არამთუ ხალხს გაამდიდრებს, არამედ წაართმევს იმ ულანასკნელს, რაც ეხლა აბადია მას!—Аმ გვარ აზრზე გაცხარდება ისე, როგორც კრაზანა, დატრიალდება ისე, როგორც ბზრიალა, გაგლანძღამთ, გაგათრევთ, გაგაუგონიერებთ და ისე გამოგაგდებთ სახლიდამ.

Аგიწერთ ამ არტელის მოქმედებას და მის მნიშვნელობას: საზოგადოება შედგება სამ მოქმედ პირისგან: თ. Б. Ж—ძისგან, თ. Д. Ж—ძისგან და თ. Д. З—შვილისგან. Оრთ პირველ პირთ უფრო პრაქტიკული შეხედულობა აქვთ ცხოვრებაზე და ისე შემცდარნი არ არიან „ხალხის გასამდიდრებელი საშუალის პოვნაზე“, როგორც მესამე, რის გამოც პირველნი უფრო მეტს მოიგებენ, სანამ მესამე.

Бამართული აქვთ სოფლებში, რამთვენშიაც საჭიროთ ხედამენ, არყის ზაეოდები და რაც კი ჭაჭა—ოხლე იპოვება მთელ ქახეთში, სულ ეს წრე ყიდულობს და ხდის. Wინაწინ, სანამ ეს საზოგადოება დაარსდებოდა, ჭაჭა-თხლის მყიდავი ბევრნი იყვნენ ასე, რომ შეგეძლოთ თუ ერთს ცოტა ფასი ეძლევინა, მეორესთვის მიგეყიდა და ამგვარათ გაყიდვაში გამყიდავს ბევრი მყიდავ-შემცილებელნი ჰყვანდნენ; ეხლა კი, ეხლაა თუ მეორე წელიწადს, სულ ერთია, ეს საზოგადოება დაადებს ტაკცას ჭაჭა-თხლეს, რადგანაც, იმედია, კონკურენტები აღარ ეყოლებათ და ამგვარათ შეამცირებენ უფრო ხალხის ცხოვრებას.....

Зემო-Мხრელი

Фოთი, 19 დეკემბრს. Сაწყალს ჩვენს Фოთს სხვა-და-სხვა უბედურებასთან საშინელი ქურდობა და სიძვირე დამატებია. Сადაც გაიარო, ყოველგან ნახავ ხალხს სულ ქურდობაზედ ლაპარაკობენ, ამას ეს მოჰპარეს, იმას ესაო და სხ.

Шესანიშნავია, რომ ამ ქამად ყველაზე უფრო ხშირად იპარვენ ისეთს საგნებს, რომელნიც ამ სიცივეში გამოადგებიან ხალხს: ფიცრებს, შეშას, საბანს, ბალიშს, ფეხისაცმელებს და სხვ.

Аქაური სიძვირისაგან Оმერთმა დაიფაროს ყოველი კაცი. Роგორც იტყვიან, ყველაფერს „ცეცხლი ეკიდება“, ყველა ძვირია; ხოლო ყველაზედ ძრიელ ძვირი ხორცია და სასტუმროებში დგომა.

Мაგრამ სად არის სასტუმროები, სად არის ალაგი, რომ მომსვლელმა კაცმა თავი შეაფაროს, ღამე გაათიოს? Сულ არის ორი სასტუმრო „Ахლხიდა“ და „Аვაკაზი“. Ахლხიდაში მიმსვლელს კაცს მუქთი ფული უნდა ჰქონდეს, რომ მანეთიანში ხუთი მანეთი აძლიოს, თორემ ისე ვერ მორჩება. Оუ მიესვლება კაცს, ისევ „Аვაკაზში“; ნომერიც იაფია და საჭმელსაც იაფათ ჭყიდის. Сხვა წვრილს ალაგებში კაცს არ მიესვლება; იმისთანა უსუფთაობა არის, რომ გული აგერევა.

Зილაც გუშინდელს მებუტკეს დარჩენია აქაური ყასპობა და როგორც უნდა ისე ჭყიდის ხორცსა. Зინ არის ხმის გამცემი! Оუ ვინმემ რამე უთხრა, მაშინვე პასუხათ იმას მისცემს: მე ჯარის ფოდრაჩიკი ვარო, და არა ქალაქისაო, და ამასთანავე ლანძღვით ისტუმრებს ხალხსა. Эს ყასაბი გირვანქას ხორცს ჭყიდის 11 კაპეიკათ. Эს ფასი არსად არ არის და აქ რა დაემართა, არ ვიცი. Сადაც ცხელს ტყვიას ისვრიან, იქაც არ არის ეს ფასი. Оფილისში, Зორში, Зუთაისში და სხვა ალაგებში ყველგან თითქმის ერთი ფასია, გირვანქა 7 ანუ $7^1/_2$ კაპეიკათ იყიდება....

Зინმე Зორელი

უცხო ქვეყნები

ინგლისი

Оინგლისურს გაზეთს „Standard“-ში დარწმუნებით იწერებიან, რომ Оსმალეთის მმართველობამ ოფიციალურად სთხოვეაო Оინგლისსაო, რომ მშვიდობიანობის ჩამოგდებაზე შუამდგომელობა იკისროსო. Аმბობენ, რომ Оინგლისმაც გადაწყვიტაო, რომ,თუ სხვა-სახელმწიფოებთან ერთად არა, მარტო იმან დაიწყოს ამ საგანზე რუსეთთან მოლაპარაკება.

Оსმალეთი

Эრთს იტალიურს გაზეთში მოყვანილია შემდეგი სიტყვები, რომელიც Оსმალოს უცხო ქვეყნის მინისტრს სერვერ-ფაშას უთქვამს Оიტალიის ელჩისათვის რუსებისაგან Зლევნოს აღების შემდეგ:

„Эს დამარცხება ჩვენ არ დაგვცემს ზნეობით. Дარწმუნებული იყავით, რომ ეხლა უფრო გაანჩხლდება და გაბრაზდება Оსმალეთის ხალხი და ვინ იცის—რა საშინელი სისხლის ღვრა მოელის ქვეყანას, თუ მალე მორიგება არ მოხდა.“

წერილი რედაქტორთან

Эს რა დრო მოგვივიდა, უფ. Рედაქტორო? Уველანი ჯავრობენ—მართალს ნუ იტყვიანო! მე მგონია, რომ ტყუილის თქმა უფრო სირცხვილი იყოს.

Аმას წინათ ერთს „Дროების“ ნომერში იყო დაბეჭდილი სტატია, რომელშიაც, Оელავის კორრესპონდენტის სიტყვით, საზოგადოება ემდუროდა ადგილობრივს ხაზინადარს იმაზედ, რომ პატენტებისა და სხვა-და-სხვა მოწმობების მიცემის დროს ვაჭრობის უფლებაზედ ეს ხაზინადარი არ აძლევდა ხალხს დარიგებას—თუ ვის რომელი გვარი დოკუმენტი ეკუთვნოდა მისაღებათ. Эს სტატია გაჰხდომია ხაზინადარს საწყენათ და როგორც მითხრეს, თურმე მე მაბრალებს თავის გაუპატიურებას. Мე თუმცა ეს ტყუილი მეგონა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მართლად გაჯავრებული ყოფილა ეს უფალი ჩემზედ. Роგორ ჭკითხოთ მიზეზი, თითონაც ვერ გეტყვით.

Мაგრამ მაინც ხაზინადარმა სამაგიეროთ გარდამიხადა:

Аმ დღეებში მე მივედი იმასთან და ვსთხოვე მოეცა ჩემთვის პადაროჟნი ბლანკი, რომელიც წინათაც რავდენჯერმე მიმიღია მისგან. У. ხაზინადარმა რომ თავისი გულის ჯავრი ამოიყაროს ჩემზედ, უარი მიყო და გამომიცხადა, რომ ის არ მომცემს მე ნათხოვნს ქაღალდს, მანამ არ წარვადგენ მასთან დოკუმენტს ჩემს პიროვნობაზედ; თუმცა ეს მოთხოვნილება მისი კანონიერათ შეიძლება შევრაცხოთ, მაგრამ ეს შეიძლება მოსთხოვოს მას, ვისაც ვერ იცნობს; ჩემს უცნობლობაზედ უ. ხაზინადარს ხმა არ ამოღება ამისათვის, რომ ის მიცნობს მე 1860 წლიდგან, რადგანაც იქიდგან აქამომდე ესცხოვრობ და

ვიმყოფები თელავში; თითქმის ყოველ დღე ეხედავთ ერთმანეთს და ხშირათაც ვართ ერთად საზოგადოებაში.

მაშა სადამე მის მიერ გამოცხადებული უარი პადაროჟნის მოცემაზედ იყო ძალიან უსაფუძვლო და მხოლოდ გაჯავრების მიზეზი. თანამდებობის პირს არა ჰმართებს ამ გვარი ქცევა და გაჯავრება...

ამისთანა ქცევით იქნება თავის დარდებს კი იქარვებს, მაგრამ თვით ხაზინას კი ზარალს აძლევს: მე უპადაროჟნოთაც კარგათ გიახელი სოფელში ცხენით და ხაზინას კი რავდენიმე კაპეიკი შემოსავალი დაკლდა და რისთვის?!....

ა. შ.

თელავი, 8 დეკემბერს

განცხადებანი

რასპორიადიტელნი კომიტეტი საზოგადოებისა, რომელსაც საგნად აქვს თბილისის საქალო გიმნაზიისა და პროგიმნაზიის ღარიბ მოსწავლე მზრუნველობა, უმორჩილესად სთხოვს ამ საზოგადოების წევრთა, რომ დროით შემოიტანონ მომავალის 1878 წლის ხვედრი ფული, როგორათაც ამას საზოგადოების უსტავის მეოთხე პარაგრაფი მოითხოვს. ფული უნდა ჩაჰბარდეს საზოგადოების კაზნაჩეის, ვახტანგ დიმიტრის ძეს თულაშვილს, თბილისის ოკრუჟნი სუდში, დილის 10-ს სათიდამ ნაშუადღევის 2-ს სათამდე.

(3—1)

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა
„ᲝᲚᲚᲘ ᲕᲘᲢᲘᲠᲝ ᲗᲣ ᲤᲣᲚᲘ?“
ᲝᲗᲮ-ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐ
ᲣᲤ. ᲐᲚ. Ა. ᲗᲣᲗᲐᲔᲕᲘᲡᲐ

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ 1878 ᲬᲚᲘᲡᲐ.
„ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲛᲒᲔ“
ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ

1878 წელს „თფილისის მოამგე“ გამოვა მუდამ დღე გარდა უქმი დღეების შემდეგ დღეებისა.

ᲮᲔᲚ-ᲛᲝᲬᲔᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ

	გაუგზავნ.	გაგზავნით თფილისში	რუსეთში
ერთი წლით — — — —	10 მან.	11 მან.	12 მან.
6 თვით — — — — —	5 „ 50 კაპ.	6 „	6 „
3 — — — — — —	3 „ — „	3 „ 50 კაპ.	4 „
1 — — — — — —	1 „ — „	1 „ 25 „	1 „ 50 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციის კანტორაში, ერევნის მოედანზე, № 3, ურთი-ერთ კრედიტის ბანკის გვერდით.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ხელის-მომწერნი ამ ადრესით მოიწერებიან: *Въ Тифлисъ, въ редакцію „Тифлисскаго Вѣстника.“*

ხელის-მოწერა მიიღება ყოველ თვის 1 რიცხვიდამ მხოლოთ წლის დამლევამდინ.

ქალაქის ხელის-მომწერლებმა ამას გარდა შაურიანი მარკის ფული უნდა შემოიტანონ. რ. (3—1)

მომავალს 1878 წელს
ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ
“ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘ“

გამოვა მუდამ დღე, გარდა ორშაბათისა და უქმეების შემდეგ დღეებისა.

ამ გაზეთის შინაარსს შეადგენს: I. ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ (მმართებლობის ბრძანებანი და განკარგულებანი, ოფიციალური დოკუმენტები). II. ᲐᲠᲐ-ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ: ა) მოწინავე სტატიები ისეთს საგნებზე, რომელთაც საზოგადო სახელმწიფო ანუ ადგილობრივი მნიშვნელობა აქვთ; ბ) შინაური ამბები რუსეთისა და ადგილობრივ ცხოვრებიდამ; გ) პოლიტიკური ცნობები რედაქციის სახელმძღვანელო სტატიებითა და ტელეგრამმებით; დ) სტატიები, რომელნიც ისტორიულის, ეტნოგრაფიულის, სტატისტიკურის, ეკონომიურის და სხვ. მხრით შეეხებიან ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲡ; ე) ფელეტონი და ვ) ცნობის ფურცელი. III. ᲡᲐᲮᲐᲖᲘᲜᲝ და კერძო ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ქალაქის ხელის-მომწერლებისათვის, ერთის წლით—11 მან. და 50 კაპ., ½ წლით—6 მანეთი. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის, ერთის წლით—13 მან., ½ წლით—7 მან.

შეიძლება დროგამოშვებით შემოიტანონ გაზეთის ფასი: მოსამსახურე პირებისათვის ხაზინადარის საშუალებით და რომელნიც არ მსახურებენ, იმათ რედაქციასთან დათანხმებით.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ მიიღება თფილისში, რედააქციის კანტორაში.

ქალაქის გარეშე მცხოვრებნი ამ ადრესით გამოგზავნიან მოთხოვნილებას: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Кавказъ“.

რედაქტორი და გამომცემელი Ნ. Ი. ᲕᲝᲠᲝᲜᲝᲕᲘ რ. (3—1)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ᲣᲕᲘრილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ᲐᲮ.-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ .	—	—			8	57	4	76
ᲤᲝᲗᲘ. . .	9	40			9	75	5	42
ᲤᲝᲗᲘ . .	9	13						
ᲐᲮ.-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ᲣᲕᲘრილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

	მ.	კაპ
ᲝᲪᲘ სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ᲤᲝᲗᲘᲡ . .	1	—
ბორს, ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ, სილნალს	-	50
როსტოვს, ᲝᲓᲔᲡᲐᲡ, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲡ . .	2	—
ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲨᲘ, შვეიცარიაში	3	—
ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ და საფრანგეთში.	3	50
ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ	3	75

ᲤᲝᲡᲢᲐ

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ᲧᲝᲕᲔᲚᲓ ᲓᲦᲔ კვირას გარდა. ზუგდ. ᲝᲠᲨ. და სამშ. ᲝᲡᲣᲠ.—პარასკ. და ᲝᲠᲨ. ᲥᲐᲮᲔᲗᲘᲡ—სამშ. და შაბ. ბ) ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ: თფილისისა და ᲤᲝᲗᲘᲡᲐᲙᲔᲜ—ᲧᲝᲕᲔᲚᲓ ᲓᲦᲔ, კვირას გარდა. ᲝᲡᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ—ᲝᲠᲨ. და პარასკ.

	კაპ.
ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ და სამზღვარ გარეთ:	
ᲚᲘᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ	4
ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲡ (სამი მისხალი) .	8

ᲑᲘᲠᲟᲐ

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 20 დეკემბ.		
ერთი ᲠᲣᲑᲚᲘᲡ ღირს:		
ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ 23 ᲠᲣᲑᲚᲘᲡ.	—	78
ᲠᲘᲠᲘᲔᲨᲘ 248 ᲡᲐᲜᲢᲘᲛᲘ.	—	62
ᲛᲡᲙᲝᲜᲢᲘ (სარგებლისფასი)	7¹/₂	-
ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ 5%	95	[illegible]
მოგებანი (პირველის ხ.	227	25
მოგებანი (მეორე სესხი)	220	5[illegible]
ᲑᲘᲠᲐᲝᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ:		
ᲤᲘᲚ. ᲡᲐᲐᲖᲜ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐ.	—	—
ᲮᲔᲠᲡᲝᲜᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ 5¹/₂ [illegible]	85	25
მოსკოვის (5 [illegible]). . .	85	50
ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ:		
ᲝᲓᲔᲡᲘᲡ სავაჭრო ᲑᲐᲜᲙᲘᲡ	177	—
ᲤᲝᲗᲘ-თფილ.რკინ. გზის	—	—
ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲪᲔᲪᲮ. გემების	527	—
ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ და მერკურის, [illegible]	225	—
ᲞᲘᲠᲕ. ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲕ. ᲡᲐᲖᲦ.	745	50
ᲞᲔᲢᲔᲠᲑ. ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲕ. ᲒᲐᲖ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	-

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

	ᲛᲐᲜ	ᲙᲐᲠ
თფილისი, 22 ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲨᲘ.		
ᲤᲕ. თეთ. ᲑᲐᲜᲯᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗ.	2	20
ᲤᲕᲘᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ . .	1	80
ᲥᲔᲠᲘ ᲤᲣᲗᲘ . . .	1	40
ᲑᲐᲛᲑᲐ ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ .	8	60
— ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ . .	9	80
ᲑᲐᲰᲔᲜᲢᲘᲚᲘ ᲑᲐᲛᲑᲐ ᲤᲣᲗᲘ.	12	—
ᲛᲐᲢᲚᲘ თუშური ᲤᲗ.	7	70
—ᲗᲐᲠᲐᲥᲐᲨᲘᲡᲐ ᲤᲗ. .	4	60
ᲐᲑᲠᲐᲰᲛᲘᲡ ნუხური ᲡᲢ.	2	—
ᲥᲝᲜᲘ, ᲤᲣᲗᲘ. . .	5	80
ᲥᲝᲜᲘᲡ სანთელი ᲤᲣᲗᲘ.	7	60
ᲡᲢᲔᲐᲠᲘᲜᲘᲡ სანთელი, Ფ.	14	—
ᲮᲝᲠᲪᲘ ᲥᲝᲠᲬᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢ.	—	72
— ᲪᲮᲕᲠᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢᲠᲐ .	—	72
ᲡᲠᲘᲢᲘ, ᲒᲠᲐᲓᲣᲡᲘ .	—	15
ᲨᲐᲥᲐᲠᲘ, ᲑᲠᲝᲪ. ᲤᲣᲗᲘ .	9	20
— ᲤᲮᲕᲜᲘᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ . .	8	40
ᲨᲐᲕᲐ ᲒᲠᲬᲕᲐᲚᲘ, ᲤᲣᲗᲘ .	28	—
ᲖᲔᲗᲘ ᲩᲣᲜᲯᲣᲗᲘᲡᲐ ᲤᲣᲗ.	13	50
ᲝᲥᲠᲝ ½ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘ. .	8	20

Дозволено цензурою Тифлисъ, 23 Декабря 1877 г. Типографія Меликова. ᲑᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ